RUGSTER

ჩვენს შესახებ

ჩვენ ვამზადებთ ხალიჩებს ინდივიდუალური დიზაინით ე.წ "რობოტიზებული ქსოვის“ (Robot Tufting) პროცესის გამოყენებით. ეს არის ინოვაციური, ციფრული და ავტომატიზირებული პროცესი, სადაც ასევე ჩართულები არიან მაღალ კვალიფიციური კადრები. წარამოებაში გამოყენებულია, უმაღლესი ხარისხის, ევროკავშირიდან იმპორტირებული ანტი ალერგიული შალისა და ვისკოზას ძაფები. წარმოების პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობა, ხარისხთან და დამზადების სისწრაფესთან ერთად დიზაინის შეუზღუდავი ვარიაციების ხალიჩაზე გადმოტანის საშუალებაცაა. ეს ინოვაციური მეთოდი გთავაზობთ ნებისმიერი ინდივიდუალური დიზაინის, ფორმისა და ზომის ხალიჩების წარმოებას, სხვადასხვა ფუნქციონალური დატვირთვით.

რას ვაკეთებთ ?

ჩვენი ხალიჩები დამზადებულია უმაღლესი ხარისხის ანტიალერგიული მასალებისაგან, რომლებიც გათვლილია როგორც მაღალი სიხშირის მოხმარებაზე საზოგადოებრივ ადგილებში, ასევე ინდივიდუალური მოხმარებისთვის.

პროდუქტი შესაფერისია სხვადასხვა ბიზნეს გარემოსთვის, მათ შორის ოფისებისთვის, სასტუმროებისთვის, სასწავლო დაწესებულებებისთვის, რესტორნებისა და საცალო მაღაზიებისათვის.

ქსოვის მეთოდები: (შალი/ვისკოზა)

3დ

ქრა (ეწ „ქათი“)

ქსოვის მეთოდები: (შალი/ვისკოზა)

მრავალ დონიანი ქრა

ჩახვეული ქსოვა (ეწ „Loop cut”)

ხელოვნური ბალახი

ინდივიდუალური დიზაინის ხელოვნური ბალახი, ძირითადად შენობის შესასვლელებში გარე გამოყენებისთვისაა. რაგსტერის წარმოების ხელოვნური ბალახი მტვრის, ტალახის, თოვლისა და სისველის მიმართ, მაღალი მედეგობით გამოირჩევა

გამოყენებული მასალები

შალის ძაფი - დამზადებულია ნატურალური ცხვრის მატყლისგან და გამოირჩევა მაღალი გამძლეობით, ჰიპოალერგიულობით, ელასტიურობითა და ტემპერატურისა და ტენიანობის მიმართ მედეგობით.

ვისკოზა - თანამედროვე სინთეზური ძაფი, რომელიც წარმოებულია ბუნებრივი მასალის (ხის მერქნის) გამოყენებით. მისთვის დამახასიათებელია რბილი, ფაფუკი ტექსტურა, ხასხასა ფერების დიდი არჩევანი და თვალწარმტაცი ვიზუალი. ძირითადად გამოიყენება დეკორატიული დანიშნულებით.

ხალიჩების უკანა მხარე

ხალიჩების გამძლეობისა და მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, ქსოვის შემდეგ ფიქსაცია კეთდება ბამბის ქსოვილის ორმაგი შრით. ამ პროცესის შემდგომ ხალიჩის ზედაპირი იკრიჭება სასურველ სიმაღლეზე იმისათვის რომ იყოს თანაბარი და შეთანხმებულ დიზაინთან შესაბამისობაში. საბოლოოდ, ხალიჩის მთელს პერიმეტრზე, უკანა მხარეს, მაგრდება ბამბის, მყარი სტრუქტურის ბრენდირებული ტექსტილის სარტყელი, რომელიც იცავს ცვეთისაგან და ფორმის სიმტკიცეს უზრუნველყოფს.

პროდუქციის ფასი

შალი / ვისკოზა - 290 ევრო $მ^2$+ (დიზაინის კომპლექსურობის შესაბამისად)

ხელოვნური ბალახი - 150 ევრო $მ^2$+ (დიზაინის კომპლექსურობის შესაბამისად)

მიწოდების დრო

შეკვეთიდან 1 თვე + (დამოკიდებულია დიზაინის კომპლექსურობაზე)

დაგვიკავშირდით:

ტელ: +995 574 07 33 22

მეილი: Info@rugster.ge

www.rugster.ge